ზ.ჭიაბერაშვილი. მინდა გითხრათ „ევროპული საქართველოს“ პოზიცია აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით. და დავიწყებ თვითონ პრობლემის აღწერით, რა არის პრობლემა. ბატონი ოთარიც დამეთანხმა, რომ ჩვენ საკმაოდ მძიმე მდგომარეობა გვაქვს სოფლის მეურნეობაში. 2014 წელს თუ ამ სექტორის ზრდა იყო 2%, 2015 წელს იყო მხოლოდ 1,5%, 2016-ში - 0,3%, 17-ში უკვე ამ სექტორში 1,5%-იანი კლებაა, 2018-შიც მინუსებია, ბატონი ოთარი გამისწორებს, თუ ვცდები. და შესაბამისად, ჩვენ ვხედავთ, რომ „ქართულ ოცნებას“ გამოცხადებული აქვს თავის პრიორიტეტად სოფლის მეურნეობა, მაგრამ ეს რიცხვები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ სოფლის მეურნეობაში გვაქვს მძიმე მდგომარეობა და აქ მივდივართ ისევ იმ კითხვასთან - რას აკეთებს მთავრობა. ბატონი გია ვოლსკის კითხვა იყო, რამდენი პროექტი აქვს სამინისტროს და პასუხად მოვისმინე, რომ უფასო ხვნა-თესვის პროგრამა არსებობდა და აქ მთავარი კითხვა ჩნდება, რომ თუ დავინახეთ, თუ წარმატებული იყო უფასო ხვნა-თესვის პროგრამა, რატომ გააჩერეთ. თუ წარუმატებელი იყო, მაშინ რატომ არ აღიარებთ, რომ თქვენი მიდგომები ამ სფეროში არასწორია, ხომ. მაგრამ თვითონ ამ კანონპროექტთან დაკავშირებით მე მინდა გითხრათ, რომ ძალიან, სოფლის მეურნეობას სჭირდება ჩვენს ქვეყანაში, რა თქმა უნდა, ახალი ტექნოლოგიები, ახალი ცოდნა, მაგრამ სჭირდება ახალი ფულიც და ეს ფული უნდა შევიდეს სოფლის მეურნეობაში ან ადგილზე კომერციული ბანკებიდან ან უნდა იყოს უცხოური ინვესტიციები იმიტომ, რომ ბატონმა ოთარმა აღნიშნა, რომ ბოლო 5 წელიწადში თითქმის 2 მლრდ-მდე ჩავდეთო და ვხედავთ, რა სავალალო მდგომარეობა გვაქვს სოფლის მეურნეობაში, ხომ. და შესაბამისად, გვჭირდება გაიზარდოს დაკრედიტება სოფლის მეურნეობის. ახლა, ქვეყნის შიგნით საბანკო რეგულაციები და ზოგადად რა მდგომარეობა არის, უკვე არსებულმა მორატორიუმმა რა მდგომარეობაში ჩააგდო ისინი, ვისაც უნდოდათ მიწის, თუნდაც იპოთეკური სესხის დროს მიწის ჩადება გარანტიის სახით, ეს უკვე ვიცით და საკომიტეტო მოსმენაზე თვითონ საბანკო ასოციაციის ხელმძღვანელმა თქვა, რომ მოგვეცით ეს 2-წლიანი ვადა, რაც ამ კანონპროექტშია ჩადებული, რომ როგორმე ეს მიწები მოვიცილოთო და მერე საერთოდ აღარ გავიხედავთ სოფლის მეურნეობისკენო. და თუ ბანკები სოფლის მეურნეობისკენ არ გაიხედავენ და სოფლის მეურნეობის

ასლის
დამოწმებისათვის

დაკრედიტება არ იქნება, მაშინ როგორ მოხდება უამრავი ადამიანისთვის ელემენტარული სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესება იმიტომ, რომ ამ სფეროში ჩვენი მოსახლეობის 43 პროცენტია დაკავებული. რაც შეეხება უცხოელებს, აქაც ძალიან ცუდი სიგნალი მიიღეს ინვესტორებმა ...

თავმჯდომარე. დაასრულებინეთ, თუ შეიძლება.

ზ.ჭიაბერაშვილი. აქაც ძალიან ცუდი სიგნალი მიიღეს და საერთაშორისო გამოცემაში, „როიტერში" იყო სტატია ქართველ მევენახეზე თამარ გერლიანზე, რომელიც კახეთში ორგანულ ღვინოს აწარმოებს და მას აი ამ პირობებში, რეა პირობებშიც არის დღეს ჩვენი სოფლის მეურნეობა, როდესაც უნდოდა 10 000-დოლარიანი ტრაქტორის შეძენა, მას არ ჰქონდა საშუალება უკვე შეეძინა ტრაქტორი და ზოგადად სოფლის მეურნეობაში, სოფლის ...

თავმჯდომარე. 30 წამი დაუმატეთ.

ზ.ჭიაბერაშვილი. დაკრედიტების პრობლემა არის ყველაზე სერიოზული. რასაც ჩვენ საშიშროებას ვხედავთ, არის ის, რომ ყალბ პატრიოტულ მოტივებზე აგებული ეს კანონპროექტი და თვითონ აღნიშნა ბატონმა ოთარმა, რომ მიწის მოცულობა, რომელიც უცხოელების ხელშია, დიდ რაოდენობას არ წარმოადგენს და შეუძლია თქვას, პროცენტულად რამდენია 45000 ჰექტარი, ეს საბოლოო ჯამში ყველაზე მეტად ცხოვრებას გაურთულებს ისევ ქართველ, საქართველოს მოქალაქეებს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირებს. გმადლობთ.

თავმჯდომარე. სხვა ფრაქციებს ხომ არ სურთ გამოსვლა. უმრავლესობა, შეგიძლიათ დასკვნითი სიტყვა გამოიყენოთ, ბატონო ოთარ.

ასლის
დამოწმებისათვის